ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 70

“15” დეკემბერი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს "კონსალტინგ გრუპს" (ს/კ: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო, დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს "კონსალტინგ გრუპის" (ს/კ: 439402843) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 75-ე მუხლის „დ.ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს "კონსალტინგ გრუპს" (ს/კ: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად შპს "კონსალტინგ გრუპისთვის" (ს/კ: 439402843) დამატებითი ვადის მიცემისა და აღნიშნული ვალდებულებების დარღვევის გამო დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 9 ნოემბრის N42.06.818 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს "კონსალტინგ გრუპს" (ს/კ: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 პუნქტის 2.1.1 და 2.1.2 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისათვის, ამავე ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.7 პუნქტის საფუძველზე, 2017 წლის 30 ნოემბრიდან 2018 წლის 31 ივლისამდე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს "კონსალტინგ გრუპის" (ს/კ: 439402843) გათავისუფლებაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**